1-ს აგვისტოსს წელიწადი მეოთხე. 1884 წელსა.

მწყემსი

№ 15.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: გაზეთის „მწყემსის" რედაქციაში, დაბა შორაპანს. *Въ мѣстечко Квирилы. Въ редакцію „Мцкемси" (Пастырь).*

განცხადება მიიღება გაზეთში დასაბეჭდათ ზომიერ ფასათ. მიიღება აგრეთვე დაბეჭდილი განცხადებაების დარიგება გაზეთთან.

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი.

უპირობოდ გამოგზავნილი სტატიები რედაქციის საკუთრებად ჩაითვლებიან და სასყიდელს მათთვის ავტორები ვერ მიიღებენ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

შინაარსი: ეკლესიების შენობის ხაქმის გაძნელება ქუთაისის გუბერნიაში.—გორის მაზრიდამ.—სიდნაკის მაზრიდამ.—ქუთაისის მაზრიდამ.—ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში VIII.—ბ. ერის კაცს.—ეროსოფოგიური ცნობები.—საერო წოდების ყურსად-გაზეთთა მიმოხილვა და მათი აზრი ჩვენ საქართველოს სამღვდელოებაზე.—სხვა-ჯ-სხვა ამბები ჯ შენიშვნები.—**სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე.** ფარისეველური მიმართულება ესლანდელი დროის საღხისა.—რედაქციის ნასუხი.—შეწირულება.—განცხადებანი.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოდამ.

ᲩᲛართველობა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა ამით უცხადებს სამღვდელო და საერო პირთა, რომელთაცა ᲗᲮᲣᲠᲗ თავიანთი შვილები შემოიყვანონ ამ დანიშნულს სასწავლებელში შემდეგს:

1) პირველათ შემომსვლელ უმწეოებისათვის სასულიერო სასწავლებელში სამმართველომ დანიშნა დრო საეგზამენოთ 1-ს სექტემბრიდგან ვიდრე 4-მდის,—ყოველ-დღეს გამუდმებით, რვა საათიდგან მოკიდებული ორს საათამდისინ. ეგზამენების რიგი პრავლენიის კარებზე იქნება დაკიდებული შესატყობლად მსურველთათვის.

2) თხოვნა სასწავლებელში მიღებაზედ უნდა იქმნეს შეტანილი 1-ს სექტემბრამდის უთუოდ სასწავლებლის ზედამხედველის სახელზედ. თხოვნასთან უმცროსად უნდა იქმნეს წარდგენილი მეტრიკის მოწმობა, ანუ გადმოწერილი პირი მეტრიკიდგან მისაღები ბავშვის წლოვანებაზე შემოწმებული ეკლესიის ბეჭდით ჯ სელმოწერილი გრებულისაგან; მეტრიკის პირს უნდა ეკრას სამ აბაზიანი მარკა; მეტრიკასთან სავალო არის მოწმობა უკვიდის ატრაზედ, ანუ სადზედ. თუ, ვინიცის, მღვდელს უძნელდება უკვიდის ატრის მოწმობის შოვნა, სამმართველოს შეუძლია შეამოწმებიოს უმაწვილი სასწავლებლის გეიმს. უკვიდის ატრის მოწმობას ღირების მარკა არ უნდა.

3) უმაწვილების მიღების დროს პრავლენიე უპირატესობას აგუთვნის სასულიერო წოდების შვილებს საერო პირთა შვილებთან;—სასულიერო ჯ საერო წოდების უმაწვილებმა რომ ერთნაირად კარგა დაიჭიროს ეგზამენები, ვერ სასულიეროსას მიიღებს, ჯ, თუ შემდეგ ადგილი იქნება,—საეროსასაც; ამასთანავე საერო წოდების მოსოვნელთა სწავლის უფლების ფულიდგან ნახევარი უთუოდ ამ თვიდგანვე თხოვნასთან უნდა შემოიტანონ, თორემ თხოვნა

უმაწვილის მიღებაზე უყურადღებოდ დარჩება და თვითონ უმაწვილიც არ დაიშვება ეგზამენიაში. თუ უმაწვილმა ეგზამენი ვერ დაიჭირა, ფულიც და დოკუმენტებიც უკანვე დაუბრუნდება.

4) ყველა მშობლები და აპეკუნები, როგორც ახლად მიღებულ ბავშვებთა, ისე ძველთ მოწაფეთა ვალდებულნი არიან შეატყობინონ სასწავლებლის ზედამხედველს, თუ სად აბინავებენ მოსწავლეთა.

2—1.

ეკლესიების შენობის საქმის გაძნელება ქუთაისის გუბერნიაში.

II.

ჩიყრუებულ სოფლებში რომ პლანისამებრ მოითხოვონ ეკლესიების აღშენება მრევლთაგან, სრულებით ეკლესიების აშენებას ველარავინ მოესწრება... არიან ზოგიერთი ადგილები და მხარეები, რომელნიც გამორიცხულნი არიან და თავისუფალნი ეკლესიის შენობების კანონთ მოთხოვნილებათაგან. ამისთანა მხარეები არიან ზოგიერთი ალაგები ციმბირის გუბერნიებისა, ჩვენი და ოსეთის მხარე. ჩვენ კავკაზიის მხარეზე არის დაწერილი, სხვათა შორის, შემდეგი: კავკაზიის იქითა მხარეში, ესე იგი, ჩვენსკენ, აგრეთვე ოსეთის მთის ხალხებში, ნება ეძლევათ უბრალო პლანების ეკლესიების აღშენებისა. მოთხოვა პლანებით ეკლესიების აღშენებისა დამოკიდებულია საქართველოს ექსარხოსზე, რომელსაც შეუძლია შემოიღოს ეკლესიების პლანებით აღშენება ნელ-ნელა ზაკავკაზიის მხარეებში და შემდეგ ოსეთის მთის ხალხებშიაც. საქართველოს ექსარხოს წინადადება ეძლევა ამ შემთხვევაში, რომ თუ თვითონ სამრევლონი არ მოითხოვენ პლანით ეკლესიის აღშენებას, ძალა არ უნდა დაატანოს მათ.

ჩვენ წინა სტატიაშიაც გამოვსთქვით, რომ ქალაქების და დაბების ადგილას სწორეთ რიგია პლანის ეკლესიები იქმნენ აღშენებულნი, მაგრამ მიყრუებულ სოფლებში ჯერეთ ყოვლად შეუძლებელია გლეხებისაგან მოითხოვონ უთუოდ პლანისამებრ ეკლესიების აღშენება...

ეკლესიების აღშენების საქმე ქუთაისის გუბერნიაში მაინც, ამ ბოლოს დრომდინ, ძლიერ ცუდათ მიდიოდა; ამის გამო ბევრი საჩივრები და უთანხმოება ამდგარა ხოლმე მცხოვრებლებ შორის და დიდი ხარჯი გასულიათ ტყუილ-უბრალოდ. პირველად ეკლესიის ასაშენებელი ადგილის გამორჩევაზე შესდგებოდა ხოლმე და შესდგება დღესაც ერთი დავიდარაბა და პარტიობა. ერთ ეკლესიას რომ ააშენებდენ, უთანხმო პარტია, როგორი მცირეც უნდა ყოფილიყო, მეორე ეკლესიას იწყებდა იმავე სამრევლოში და აშენებდა კიდეც. ზოგან იქამდისინ მიაღწია მრევლის გადამტერებამ ერთმანეთზე, რომ ცეცხლი წაუკიდეს ეკლესიებს და გადაწვეს. ხშირად ერთ სამრევლოში ხედავთ ორ და სამ ეკლესიას, მაგრამ არც ერთ მათგანში შინაურ გამშვენებას და მორთულობას ვერ ნახავთ. მღვდელი ვალდებულია ამ ორ სამ ეკლესიაში კვირა-უქმე დღეებში წირვა-ლოცვა იმაში შეასრულოს, რომელიც შტატის ეკლესიად ირიცხება. ამის გამო მრევლში ხდება ერთი შფოთი და მღვდელსა და ზედ მიწერილი ეკლესიის მრევლთა შორის იბადება უთანხმოება და უკმაყოფილება, რომელსაც ძლიერ ცუდი შედეგი მოსდევს.

ამისათვის, ჩვენის აზრით, საჭიროა: 1) ამ საქმეზე აღიძრას კითხვა და მოხსენდეს მისს ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ექსარხოს არხიეპისკოპოს პავლეს, რომელსაც ამ შემთხვევაში დიდი უფლება აქვს მინიჭებული, იშუამდგომლოს, სადაც რიგია, რომ თავისუფალნი იყვნენ სოფლის ხალხნი ეკლესიების პლანებით აღშენებისაგან; მიეცეს მათ ნება უბრალო პლანებისამებრ აღაშენებდენ ეკლესიებს, ისე როგორც დღემდისინ აშენებდნენ. 2) აღეკრძალოსთ მრევლთა ერთსა და იმავე სამრევლოში ორი სამი ეკლესიის აღშენება, თუ დიდი საჭიროება არ მოითხოვდეს მეორე ეკლესიის აღშენებას და 3) მრევლისაგან უნდა მოითხოვებოდეს არა მარტო ეკლესიის კედლების აღშენება და დახურვა, არამედ შიგნით გამართვა, იკონოსტასის დადგმა და საზოგადოდ ეკლესია არ უნდა ეკურთხოს, ვიდრემდის ყოლიფრათ მოწყობილი და გათავებული არ იქმნება.

გორის მაზრიდამ.

კრება გორის მაზრის სამღვდელოებისა.

25 ივნისს ქ. გორში, აქაურ სასულიერო სასწავლებლის შენობაში გაიხსნა ჩვეულებრივი კრება ამავე მაზრის სასულიერო დეპუტატთა. თავმჯდომარედ კრებისა ამორჩეული იქმნა მ. იოანნე მახარობლიძე, ხოლო საქმის მწარმოებლად მ. ი. ბამრეკელოვი. ამ კრებას ჰქონდა საგნად რამდენიმე კი-

თხვის განსინჯვა. მას, მაგალითად, ეუწყა, რომ ხელმწიფე-იმპერატორმა გორის სასულიერო სასწავლებელს აჩუქა 1121 კვადრ. საჟენი მიწა აღსაშენებლად მასზედ ახალი სასწავლებლის სახლისა. გამოეცხადა ამ კრებასვე, რომ ძველ სასწავლებელის შენობას სხვა-და-სხვა ალაგას უნდა შეკეთება, რემონტი. აღიძრა კითხვა მასზედ, თუ როგორ მოვექცეთ ამ ძველ სასწავლებლის შენობას და მიწას შემდეგ ახალი სასწავლებლის სახლის აშენებისა. ამასთან კრებამ განიხილა თხოვნები: უფროს მოსამზადებელი კლასის მასწავლებლის ზ. დავითაშვილის ჯამაგირის მომატებაზედ, ბლაღოჩინი მღვდელი მ. ნასყიდოვისა გორის ოქონის ეკკლესიის რამდენიმე წლით განთავისუფლებაზედ ხარჯის შემოტანისაგან სკოლის სასარგებლოდ და რამდენიმე თხოვნაც სხვა. ამ ზემოხსენებულს კრებაში ჩემი ყურადღება მიიქცია სამმა საგანმა: 1) ხელმწიფე იმპერატორისაგან მიწის ჩუქებამ, 2) აწმყო სასწავლებლის ბედმა შემდეგ ახალ შენობის აშენებისა და 3) მასწავლებლის ზ. დავითაშვილისა თხოვნის შედეგმა.

კრება დიდათ გახარა ხელმწიფე იმპერატორის წყალობამ. ეს წყალობა ხელმწიფე იმპერატორმა მოიღო ჩვენზედ და ჩვენ შვილებზედ მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ექსარხოსის პავლეს ცდილობით. კრებამ ამის გამო საჭიროდ სცნა გადაეხადნა პარაკლისი სადღეგრძელოდ იმპერატორისა და მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის არხიეპისკოპოზის პავლესი და გაეგზავნათ ტელეგრამმა მისს მაღ. ყოვ. უსამღვდელოესობის სახელზედ. ყველა ეს კრებამ რიგიანად აღასრულა. აი აქვე მოვიყვანთ, რამდენათაც მახსოვს, ტელეგრამის შინაარსს: „კრება სასულიერო წოდებისა, შეევედრა უფალსა ღმერთსა მათის უდიდებულესობის კეთილდღეობისათვის, რომელმაც ინება ჩუქება ადგილისა გორის სასულიერო სასწავლებლის სასარგებლოდ, და თქვენ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას, რომელმაც მიიღეთ ენერგიული შრომა ამ საგანზედ, უცხადებს ამასთანავე გულითად მადლობას და ღმერთსა სთხოვს თქვენს დღეგრძელობას“.

ამ შემთხვევაში კრება სრულებით მართებულად მოიქცა. დიდიხანია, აწმყო სასწავლებელი მეტი სიძველისა, სივიწროისა და სინესტისა გამო ვერ აკმაყოფილებდა სასწავლებლის მოთხოვნილებას, მაგრამ ვინ იყო პატრონი? მართალია, ბევრგვარი შეკეთება გაუწიეთ და ბევრიც დავხარჯეთ და დღესაც კიდევ ვხარჯამთ, მაგრამ სულ ამაოდ, რადგან სიძველისა გამო არაფრად იჩნევს ჩვენს შეკეთებას სასწავლებლის შენობა. ამიტომ დღითი დღე ველოდით ახალი სასწავლებლის შენობის აშენებას და ძლივს ეხლა მოგვეცა იმედი, რომ ეს დროც ახლო იქნება. რაც ამ საქმეს შეუდგა ჩვენი მთავრობა, სასწავლებლის, მართველობა და სამღვდელოება, იქნება თითქმის 15 წელიწადი. ფული აღსაშენებლად ახალ შენობისათვის იყო გაწერილი ასაკრებად 1874 წლიდგან ოთხის წლის განმავლობით; მხოლოდ ფულის შეტანა სამღვდელოებამ იწყო 1875 წლიდგან. სრულიად, როგორც მახსოვს, იყო შეგროვილი ფული ამ საგანზედ დაახლოებით 13,000 მანეთამდინ და დღეს კი მოგებით გვაქს 15,000 მანეთამდე. გარდა ამისა გვაქს საკუთარი შენობა თავის მიწით (აწმყო სასწავლებელი), რომელიც სულ მცირედ ღირს 5,000—6,000 მანეთი; რაც დაკლდებოდა, იმაზედაც უკან არ დავიწევდით, მაგრამ არსაიდგან გვეშველარა დღემდინ. ბოლოს დროს ზედა-ზედ პეტერბურგიდგან გამოგზავნილმა რევიზორებმაც მიაქციეს ყურადღება და დაავალეს მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის პავლეს მოადგილეებს, რომ მათ თვალყური დაეჭირათ ჩვენ სასწავლებელზედ, მალე მოეხერხებინათ ახალი სასწავლებლის აშენება; მაგრამ იმითაც არა იქმნა რა, თუმცა მიწერ-მოწერა გამართული იყო აგერ ათი წელიწადი. ბოლოს, როდესაც დაინიშნა საქართველოს ექსარხოსად პავლე, მან მიაქცია განსაკუთრებითი ყურადღება, ენერგიულად მოჰკიდა ხელი ამ საქმეს და კეთილად დააგვირგვინა საქმე. ჩვენ მიწის ყიდვას ვაპირებდით ახალი სასწავლებლისათვის და მან მუქთად გვიშოვა 1121 კვად. საჟენი; მერე რა ადგილას? დიდ ქუჩაზედ ეხლანდელი, ანასტასიევსკის ქალების პროგიმნაზიის გვერდით, რომელიც დროებით მოთავსებულია თ. რევაზ ბ. ერისთვის სახლში. დღემდინ მიკუნჭული სასწავლებელი დაიჭერს დიდს შემდეგ გამოჩენილ ადგილს. ეხლა საქმე ამაზედაა, რომ დამტკიცდეს პლანი და სმეტა, რომელზედაც, თუ მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა პავლე შემწედ გვეყოლება, რაშიც ეჭვი არა გვაქს, ერთ წელიწადზედ მეტი არ მოგვინდება. შემდეგ ამისა საქმე ისევ ჩვენზედ მოვარდება; რაც ფული დააკლდება, ის უნდა შევუსრულოთ. ჩვენ გვესმის, რომ ამ შემთხვევაშიაც ჩვენი მთავარ ეპისკოპოზივე გვიმართავს ხელს, სესხად გვაძლევს ფულებს კანტორიდგანო. თუ კი ესე იქნება, ჩვენ, როგორც მესმის ჩემ თანამწირველებისაგან, ამაზედ უკან როგორ დავიხევთ: ყველა პირობაზედ დავთანახმდებით, ოღონდ გვავალონ ფულები კანონიერ % რამდენიმე წლის ვადით, რომ ჩვენც ნელ-ნელა შევიძლოთ ვალის გადახდა. ჩვენ იმაზედაც მზათა ვართ, რომ ყველა

მასწავლებელსაც მივსცეთ ბინა ახალ სასწავლებლის შენობაში და კიდეც გადასწყვიტა კრებამ თუმცა ჩვენ ამის მოვალენი არა ვართ, მაგრამ იმედი გვაქს, რომ ამით ჩვენს შვილებს ბევრს ეუშველით და მასწავლებლებისათვის ნივთიერს შეღავათს შეადგენს უქირაო სახლი და მით უფრო მუყაითნი იქნებიან. საცა ბევრი წავა, იქ ცოტაც წავიდეს და საქმე კი სამუდამოდ, საშვილიშვილოდ გაკეთდეს.

2) კრებაზედ განიხილეს ის, თუ რა უფრო სამჯობინო იქნება აქაური სამღვდელოებისათვის: გაყიდვა ახლანდელის სასწავლებლის შენობისა თავის მიწით, თუ გაუყიდავობა. ამ კითხვაზედ მრავალ გვარი კითხვა აღიძრა; ერთნი გაყიდვას იძახდნენ, მეორენი გაუყიდაობას. პირველნი ამყარებდნენ თავიანთ აზრს იმაზე, რომ შენობა ფრიად ძველიაო და შეიძლება მოულოდნელად დაიქცესო, ამასთანვე რემონტზედ ბევრი დაიხარჯებაო, მუდამ კი ყურის მგდებელი უნდაო, რომ გაუქირავებელი არ დარჩესო და სხვ.-და-სხვ. მეორენი ამბობდნენ, რომ პირველადვე, როცა ისესხებენ ახალი შენობისთვის ფულს, აქავე მივლენ იმ ფულსაც, რაც ძველ შენობის საფუძვლიან რემონტს მოუნდება, თუნდაც რომ მოუნდეს ორასი-სამასი მანეთი. იგინივე იძახდნენ, რომ სტრახში შეტანა ორთავე შენობის, ახლის და ძველისაც, აუცდენელიაო და სხვა-და-სხვა... შემდეგ ამისა თავმჯდომარემ მამა ი. მახარობლიძემ მოკლე სიტყვით აგრძნობინა კრებას, რომ უკეთუ დარჩება გაუყიდავი ძველი შენობა თავის მიწით, ოდესმე განთავისუფლდებიან აღებული ვალიდგან და ეს შენობა კი მუდამ შემოსავლის წყაროდ დარჩებათ სამღვდელოებას. ჯერ იმედი არის, ისე გადააკეთონ, რომ თუ მისმა შემოსავალმა არ განთავისუფლა სამღვდელოება წლიურ შემოსატან ხარჯიდგან, ბეერიც აღარ დაედოთ. ამასთანავე ფიქრობენ, რომ თუ დღეს ეს მთელი შენობა 5,000—6,000 მანეთი ღირს, ხვალ ზეგ ერთი-ორად იქცევა და გადაკეთებული ერთი სამად, რადგან თვით ეს ძველი შენობაც მაინც და მაინც არც ისე ცუდ ადგილას არის.

3) ზემოხსენებული მასწავლებელი ბ. დავითაშვილი თხოულობდა, რომ კრებას მოემატნა მისთვის ჯამაგირი, ან მიეცა ფულით შემწეობა ერთბაშად, რადგან შედარებით შრომასთან მცირედი ჯამაგირი აქვს. კრებამ მართლაც ეს ახალგაზდა დაინახა პატიოსან მუშაკად, მისი შრომაც ნაყოფიერად, ამიტომ თავის ჟურნალის დადგენით მადლობა უძღვნა მას, მხოლოდ ჯამაგირის მომატებაზედ და ფულით შემწეობაზედ ამ ჟამად უარი ჰყო, რადგან საშუალება არსადა სჩანს. შემდეგ კრების გათავებისა ზოგნი ჩვენგანი სინანულში შეიდნენ, რომ ეს თხოვნა ვერ შეუსრულეს და შიშობდნენ, რომ მან გული არ აიცრუოს ჩვენს სასწავლებელზედ და სხვაგან არ გადავიდესო, ეს მართლაც საფიქრებელია. მარტო ის კი არ გვეყოფა, რომ კარგი შენობა დავსდგათ, არამედ უნდა ვეცადოთ, რომ მასწავლებელიც მოვიზიდოთ, რომ ჩვენს შვილებს კარგათ ასწავლონ, თორემ დღეს ეს გავა, ხვალ მეორე. ბ. დავითაშვილი აგერ ექვსი წელიწადია, რაც ჩვენ სასწავლებელში მასწავლებლად არის. ამ ხანში აქ რამდენიმე რევიზორი მოვიდა და ყველას „ატჩოტებში" ძალიან კარგად არის მოხსენებული; ვინც დასწრებია მის გაკვეთილების მაცემაზე, დიდათ კმაყოფილნი არიან; თითონ მეც მომისმენია მისი გაკვეთილები და იგივე შთაბეჭდილება მიმიღია და ბოლოს თვით ჩვენი შვილებიც—შეგირდებიც დიდათ ემადრიელებიან. იმედი მაქვს, რომ ეს პატიოსანი მასწავლებელი მოგვითმენს და თავისებურად განაგრძელებს შრომას.

ქიდდის შტატის ეკკლესიის მღვდელი იოსებ ჩიტაზე.

სიღნაღის მაზრიდამ.

სოფლის სამღვდელოების სარჩოს შესახებ.

ყველამ იცის, რომ მოსპობისათვის სამღვდელოთა და სამრევლოთა შორის უსიამოვნებისა, რომელიცა შეემთხვეოდათ ხოლმე წესის შესრულების დროს სასყიდლის მიღების და დრამის შეკრების გამო, სასულიერო მთავრობამ დაადგინა შემდეგი წესი:

1) დრამა პურით შტატის დებულებისა მებრ უნდა მიიღოს სამღვდელოებამ სასოფლო პურის მაღაზიებიდან; 2) ჯვარისაწერი: შეძლებული კომლისაგან უნდა მიიღონ ათი მანეთი, საშუალოდან—შვიდი მან. და შეუძლებელიდან—სუთი მან.; 3) მიცვალებულის დასაფლავების დღეს სამი მანეთი და სხვა წესის შესრულებისათვის როგორც მორიგდებიან ერთმანეთში მრეველი და მღვდელი. ასე დაინახეს საუმჯობესოდ და ასე გადაწყვიტეს.

ჯოხდება ხოლმე ხშირად, რომ რაც უნდა გამოცდილი და ნასწავლი მკურნალი იყოს, მაინც ვერ მასცემს ხოლმე ავათმყოფს სამკურნალო წამალს და ნაცვლად გაკურნებისა უმეტესად გაუძლიერებს სნეულს ტკივილს; ამისთანა საქმე დაემართა სოფლის

სამღვდელოებასაც და ნაცვლად განკურნებისა უმეტესად შთავარდა უკურნებელს სენში.

1) შტატის დებულებისამებრ თუმცა პური იკრიბება სასოფლო პურის მაღაზიაში და იქიდან იღებს სამღვდელოება, მაგრამ ამით ძლიერ შეუმცირდა სამღვდელოებას საზრდო და შემოსავალი; პირველად მით, რომელ ყველა კომლისაგან არ იღებენ; მეორეთ, ბევრს თითონ ამბარდანი ართმევს თავის სასარგებლოთ; მესამეთ, თუ ვინმემ კარგი პური მიიტანა, იმას გამოსცელიან ან მამასახლისი, ან სუდიები და ანუ თვით ამბარდანი; მეოთხედ, პურის შეკრების დროს ყურს არ უგდებენ, თუ ვის როგორი ხორბალი მიაქვს, კარგი თუ მდარე და მეხუთედ, არ აქვსთ სახეში, თუ ხვარბალთან ვინ რაოდენი ფულიც უნდა მიიტანოს. *) რასაკვირველია, ზემო თქმული საშუალება ძრიელ სამკურნალო იქნებოდა, თუ რომ ცოტა ოდენი წამალი კიდენ იყოს დამატებული; ე. ი. რომ სეკდემბრის თვის გასულს წარედგინათ მაზრის უმფროსებს სამღვდელოებისაგან მიცემული კვიტანცია სრულ კმაყოფილების მიღებაზედ სინოდალნი კანტორაში. რადგანაც სოფლის თანამდებობის პირებს არა ვისგან არა ეთხოვებათ-რა, ამისათვის ძლიერ უყურადღებოდ არიან და თავიანთ ნებაზედ რაც უნდათ იმას შერებიან...

2) შემოსავალი ჯვარისაწერიდან გადავიდა თითქმის მამასახლისების ხელში, რადგანაც მათ უნდა მისცენ მოწმობა სასიძოს მის შეძლებაზედ. თვით შეძლებულ კაცს აძლევს მამასახლისი მოწმობას შეუძლებლობაზედ; რასაკვირველია, მამასახლისს თუ არა მისცა-რა, ისრე არ მისცემს მოწმობას და მღვდელს მისი გაგება არ შეუძლიან, რადგანაც სასიძო არის შორის სოფლისა; აქედგან ცხადათ სჩანს, რომ ამ მხრიდანაც არ არის განკურნებული სამღვდელოება. სამღვდელოება შეუძლებელ კომლად იმას სთვლის, ვისაც სახემწიფო გარდასახადი ერთ თუმანზედ მეტი არა აქვს, საშუალოდ—ორ თუმანზედ მეტი, ხოლო ვისაც ამაზედ მეტი აქვს, იგი ითვლება შეძლებულად; მაშასადამე მამასახლისის მიცემულს მოწმობაში უნდა ეწეროს, ვის რაოდენი გარდასახადი აწერია და, თუ მოწმობაში აღმოჩნდა სიცრუე, მაშინ მამასახლისს უნდა გარდახდეს ჯარიმა.

3) მიცვალებულის დასაფლავებაზედ კრებულნი ეკლესიისანი მიიღებენ დასაფლავების დღეს სამ მანეთს, ხოლო შემდგომ უნდა ევაჭრნენ ერთმანეთს მღვდელი და მრეველი; პირველი ცდილობს ბევრი გამოართვას, ხოლო მეორე—ცოტა მისცეს, აქედგან წარმოსდგება დიდი უსიამოვნობა. ან კი რა უნდა ჰქნას მღვდელმა, რომ არ ევაჭროს, ჯამაგირი ხომ არა აქვს? სიტყვისაებრ ტულის მღვდელ-მთავრის დიმიტრისა: „თქვენ ხომ მაგისთანა შემოსავლით ცხოვრებთ, რაღა ჯამაგირი გეძლევათ, ეგეც რომ არ აიღოთ“ გაზ. „მწყემსი“ 1884 წლისა № 1 გვ. 10.

ხასულიერო და სამოქალაქო მთავრობამ ძლიერ კარგათ იციან, რომ მღვდლები სცხოვრობენ დრამის შემოსავლით შტატის დებულებისა მებრ და სხვა-დასხვა შემოსავლით, რომელსაც ძალით, თუ ნებით იხდიან სამრეველონი. მაგრამ ძნელი ის არის, რომ მრეველის ხელიდან პირ-და-პირ მღვდლები იღებენ, რომლისა გამო ეკარგებათ მღვდლებს ჯეროვანი პატივისცემა და სიყვარული მრეველისაგან. მაშინ უსათუოდ აღორძინდება მღვდელთა და მრეველთა შორის სიყვარული და პატივისცემ, როდესაც ყოველი შემოსავალი ფულზედ გარდაიდება, შეიტანება ხაზინაში და იქიდგან მსგავსად სხვათა თანამდებობის პირთა იქნება მიღებული. სხვებრ არას გზით არ მიეცემათ სამღვდელოებას არა ვითარიმე განკურნება. ნუ თუ არ შეიძლება გამოანგარიშება სამღვდელოთ ყოველ გვარ შემოსავლისა და ფულზედ გარდადება? ზოგნი იტყვიან, არ შეიძლებაო, მაგრამ ეს თქმა ტყუილი იქნება, შეუძლებელი არა არისრა: დიდი ხანია, გაიგეს სიღრმე ოკეანისა, სივრცე ქვეყნისა, აღრიცხეს ცაში ვარსკვლავნი, გაიგეს სიმორე დედა-მიწისა ვარსკვლავთაგან და სხვანი და სხვანი. მაშ იმას ვერ გამოიანგარიშებენ, რა შემოსავალი აქვსთ სამღვდელოებას? მაგრამ ვის აგონდება სამღვდელოება? და რატომ? იმიტომ რომ ჯაცხოვარმან უბრძანა თვისთა მოციქულთა: „უკეთუმცა სოფლისაგანი იყვნეთ, სოფელიმცა თვისთა ჴყვარობდა; რამეთუ არა სოფლისაგანნი ხართ თქვენ, არამედ მე გამოგირჩიენ თქვენ სოფლისაგან, ამისთვის ჴსძულთ თქვენ სოფელსა. (იოან. 15. 19.) ხოლო მათდა სანუგეშებლად სთქვა პირველადვე: უწყოდეთ, რამეთუ პირველად მე მომძულა. (იქავე მუხ. 18).

მ. ნ. მ—ძე.

ს. ზეგანიდამ (ქუთაისის მაზრაშია).

ხ. ქვედა ზეგანის მცხოვრებნი წასრული 1882 წლის მოუსავლიანობამ ძლიერ შეაწუხა. სულის მეტი აღარასფერი არ შერჩენიათ გაუსყიდელი და დაუგირავებელი: ვინ მიწა-ადგილი დააგირავა, ვინ შვილი

*) სიღნაღის მაზრაში ისრეა დაწესებული, რომ ერთ კოდ ხორბალთან შეძლებულმა კომლმა უნდა მისცეს მღვდელს სამი აბაზი, საშუალომ—ორი აბაზი და შეუძლებელმა—ერთი აბაზი.

და ვინ სხვა რამე, და ამ საშუალებით ძლივ გადაარჩინეს თავი და ცოლ-შვილი სიკვდილს შიმშილისაგან.

ამ უბედურებასთან ერთმა ამ სოფლის მცხოვრებმა გლეხმა თედორე ზუმბერიძემ, დიდი შრომით, მოიყვანა სახლში ერთი ცრუ ექიმი და მკითხავი. ზუმბერიძეს ჰყავს რძალი, რომელიც, რვა წელია, კუტათ არის დაგდებული. საწყალმა გლეხმა თავის საცხოვრებელი გადაალია ხსენებულ კუტს, მაგრამ ვერ მოარჩინა; შემდეგ ამ ცრუ ექიმმა დაიკვეხა მორჩენა კუტისა. როგორც შევიდა სახლში, სადაც ავათ-მყოფი იყო, ერთი დაიყვირა: ,,კუდიანებო და ეშმაკებო, გარეთ გამეცალეთ.“ ჩვენ არა ვფიქრობთ, რომ იმ სახლშიდ ხარებისა და ძროხების მეტი კუდიანები ყოფილიყოს; მაგრამ საწყალ გლეხს ესეც არ ჰყავს. შემდეგ დასხდა სკამზედ და დაიწყო თავისებურათ ზასი და ამ ზასში გამოურია ნელ-ნელათ, თუ რას მომცემთ ფეხის ქირას და საექიმოსო. რა ჰქნას ამ საწყალმა გლეხმა, რომ საშუალება არას ფერი არ ჰქონდა! მხოლოდ კიდევ დარჩენოდა ერთი პატარა ნაკვეთი ვენახიანი მიწა, მალლარი; ამ მიწის დაგირავებაც განიძრახა საწყალმა გლეხმა, მაგრამ ვინ დაიგირავებს, ფულები ვის აქვს? ვის რა ეგირავება; როცა შიმშილით მუცელი ეწვისთ. მაგრამ,—დალოცოს ღმერთმა, გაუჩნდა იმ საწყალ გლეხს ერთი მადლიანი კაცი და დაიგირავა იმ გლეხისაგან ვენახიანი მიწა, მალლარი **ათ მანეთად**; შემდგომ მიუბრუნდა ცრუ ექიმს-მკითხავს და უთხრა გლეხმა: ,,რას მთხოვ ბატონო!“ ექიმმა ბძანა: ,,ჩემი ფეხის ქირა არის **სამი მანეთი** და საექიმო **ოცი მანეთიო**.“ აქეთ იქით ლაპარაკის შემდეგ დააბოლოვეს ცამეტ მანეთზედ, მაგრამ რა ჰქნას გლეხმა, **ათი მანეთი** ვენახის გირაოდან მიიღო და სამი მანეთი სად უნდა ეშოვნა? კიდევ დალოცოს ღმერთმა იგივე მადლიანი კაცი, იმანვე მისცა **სამი მანეთი**. მიიღო აღთქმული ფულები ექიმმა, შემდეგ დაიწყო თავისებურათ, რაც იცოდა. მოიტანა ფინჯანით წმიდა წყალი, ჩაფხიკა შიგ ნახშირი, ჩააცქერდა ნახშირით ამღვრეულ წყალს და დაიწყო რაღაცა ბუყ-ბუყით ლოცვა. შემდეგ ნახევარი საათისა აიხედა ზევით, მიაცქერდა კუტის მამამთილს და უთხრა: ,,სრულებით შენ ხარ მოღალატე ამ კუტისაო, შენის მოქმედებით არის ეს ავათ!.“ ამ დროს შეიქნა ერთი აყალ-მაყალი მამამთილს და ავათმყოფ რძალ შორის, წყევა-გინება, ლანძღვა და სხვა. ამ საწყალ გლეხს ეხლა უმეტესი უბედურება დაემართა; დაგირავებული მიწაც დაეკარგა, ცრუ ექიმზედ მიცემული ფულებიც, და ავათმყოფი რძალი გლეხისა კიდევ ავათმყოფობისაგან სახლშიდ იტანჯება...

რა ჰქნას საწყალმა უსწავლელმა გლეხმა, რომ არაფერი არ ესმის და ამიტომაც მეორეთ მოზძანებული ქრისტე ეგონა ხალხს ეს ექიმი! წაიყვანეს მრავალთა თავ-თავის სახლებშიდ აღმოსაჩენათ კუდიანებისა. ეს მკითხავი ვისის სახლშიდ შევიდოდა, ყვიროდა: ,,გამოდით, გამოდით კუდიანებო. ,,დასტყავა საწყალი გლეხები ფულებისაგან, რომელთაც პერანგი არ შერჩენია გაუყიდავი. საუბედუროთ ჩვენდა, ამ შემთხვევაში არც ადგილობითი პოლიცია და არც სხვა თანამდებობის პირი არ იმყოფებოდა, რომ ყურადღება მიექცია და დაეფარა საწყალი გლეხები ამ ექიმისაგან. საწყალ გლეხებს ზოგი ატყვილებს ქალალდის მკითხაობით, ზოგი ლობიით და სხვა-და-სხვა ხრიკებით. მაგრამ ამისთანა ბოროტ მოქმედების ყურადღების მიმქცევი არავინ არის. ამისთანა მატყუარები ბევრნი არიან. მამა მოძღვართ მოძღვრის მ. ზ. მაჩიტაძის პრიხოდში, ს. ქვედა დიმს, სუფევს ორი მკითხავი დედაკაცები. და ორი მამა მ. მ. კ—ძის პრიხოდში ს. ჟი—თს. სხვა-და-სხვა სოფლებშიაც მრავალნი არიან ამისთანა მავნებელნი პირნი.

რადგან ვხედავთ ჩვენ, რომ პოლიცია არ აქცევს ამას ყურადღებას, მოძღვრები მაინც უნდა ვეცადოთ, რომ თვისი მრევლნი დავიხსნათ ამისთანა მავნებელი ექიმებისაგან და ჩავაგონოთ ხალხს, აერიდონ ამისთანა მკითხავ ექიმებს გლეხები.

ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში.

VIII.

მეფედ, უკეთ ვსთქვათ, კურატპალატად ამ უკანასკნელი ქვეყნისა იყო აშოტი, რომელიც სცდილობდა გაენთავისუფლებინა საქართველო არაბთაგან. რამდენიმეჯერ კიდეც გაიმარჯვა მათზე, მაგრამ ბოლოს მაინც დამარცხებულ იქმნა მტერთაგან (826 წ.); აშოტი არაბთა მოჰკლეს არტანუჯის წმ. მოციქულთ პეტრეს და პავლეს ტაძარში. *)

საქართველო განყოფამ და განაწილებამ ძრიელ დაასუსტა. აფხაზთა მეფენი, რომელთაც ჰყავდათ საკუთარი ქათალიკოზი, ხშირად ეწინაალმდეგებოდენ საქართველოს მეფეთ და მით მრავალთა ჩვენთა

*) არტანუჯი ქალაქი მცირე და ციხე მაგარი, კეთილ-შენი. ეს აღაშენა გორგასლან, შემდგომად შემუსრა ყრუმ, მერმე აღაშენა და განაახლა აშოტ კურატპალატმან და აღაგო ციხესა შინა ეკკლესია პეტრე-პავლესი. მოჰკლეს მას შინავე და დაფლეს მუნვე (გეოგრ. ვახუშტ. გვ. 116).

მტერთა აძლევდნენ შეძლებას, რომ უფრო ადვილად გაეოხრებინათ ჩვენი მხარე და პირქვე დაეცათ ეკკლესია.

სწორედ ამავე დროს კონსტანტინეპოლში გამოჩნდა მთელი დასი ხატთ-მბრძოლთა, რომელნიც სასტიკად სდევნიდნენ ხატთა თაყვანის-მცემელთა. ბერი გაბრიელ ქართველი, რომელიც მყუდროებაში სცხოვრებდა ათონის მთაზედ, ღირსი იქმნა აღმოელო ზღვიდამ ხატთ მდევნელთა შიშისაგამო ზღვაში ჩაგდებული სასწაულთ მომქმედი ღვთის-მშობლის ივერიის ხატი. მალე დროში მთელს ქვეყანაში განითქვა სახელი ამ ხატისა, როგორც სასწაულთ-მომქმედისა. სოფლის ღელვისაგამო მრავალნი ქართველნი წავიდნენ ათონში, შეიმოსნენ ბერ-მონაზონად, აღაშენეს დიდი მონასტერი და მის კარის ბჭეში დაასვენეს ხსენებული ხატი, რომლისაგან მონასტერსაც ეწოდა „მონასტერი ივერიის ღვთის-მშობლისა“.

პირველი ქართველი, რომელმაც „დაუტევა ყოველივე დიდება და შვება საწუთოსა ამას, განეშორა და წარვიდა დაფარვით ლავრასა დიდებულსა“, იყო წარჩინებული თავადი ტაოსი *) იოანე, მხნე, ახოვანი, განთქმული წყობათა შინა, მაღალი და მშვენიერი სიკეთითა, „სიყრმითგან თვისით განსწავლულ-იყო თავისუფლისა ხელოვნებათა და გონიერ გონებითა და გულის-ხმის-ყოფითა, მეცნიერი ენისა ელლინთასა და სხვათაცა ენათა ზედ-მიწევნილობით სწავლული და აღსავსე სიბრძნითა და შიშითა ღვთისათა“. ესე იოანე ლავრაში მონოზნად ეკურთხა და „ოდეს განცხადნა მუნ და განითქვა მუნით ამბავნი მისნი ყოველსა კერძოსა, ნეტარი იოანე განეშორა ადგილისა მისგან და მიიწია მთასა წმიდასა ულუმბოსა **) და მუნ აღირჩია ერთი მონასტერი, რომელსაცა შინა იყოფოდა ფრიადისა და მრავლისა მოღვაწებითა“.

ჟამსა მას, ოდეს იგი მისცნა ზემოსა კერძოსა ყოველნი მახლობელნი ადგილნი ბერძენთა მეფემან (რომანოზ) დავით კურად-პალატსა, თვისისაგან სამეფოსა გარეშე საზღვართა ივერიისათა, რათამცა ეგოს მეფე დავით მტკიცედ პირობასა ზედა ბერძენთასა და არა შეერთდნენ მტერთა ქართველნი, მაშინ იოანე კონსტანტინეპოლეს ჩამოსული „არღარა მიიქცა ულუმბად, არამედ წარვიდა მთასა წმიდასა“ და თან წაიყვანა მზევლად მყოფი შვილი თვისი ევთვიმი. შემდეგ ამისა მოდიან მთაწმიდად მრავალნი ქართველნი, სხვათა შორის, მთავარი თორნიკე, წმ. გაბრიელ ღვდელ-მონაზონი (ზემოთ-ხსენებული) და სხვანი მრავალნი ღირსნი გვამნი ქართველთანი“. თორნიკემ აქ მიიღო „სახე მონაზნეობისა“.

მოსე ჯანაშვილი.

ბატ. ერის კაცს.

სატივ-ცემულ გაზეთ „მწყემსის“ № 14-ში თქვენ უსაყვედურებთ მღვდელთა, რომ მათგან ეკკლესიებში „ქადაგებითი სიტყვა“ არ გესმით. მართალს ბძანებთ, რომ, გარდა წირვა-ლოცვისა და სხვათა მღვდელ-მოქმედებათა შესრულებისა, მღვდლის მოვალეობაა უხსნიდეს თავის მრევლს დღიურის სახარების, ან სამოციქულოს შინაარსს და აგონებდეს ქრისტიანულ ცხოვრებას ცხოველი ქადაგებითი სიტყვით. ამაზე ყველანი დაგეთანხმებით, რომ ამისთანა ნასწავლი მამები საჭირონი არიან ყოველგან —და უმეტეს სოფლად. ქალაქელებს, ცოტად თუ ბევრად, ესმისთ ქრისტიანობა და სახარების და სამოციქულოს წაკითხულის შინაარსს რაოდენადმდე მიხვდებიან აუხსნელადაც; მაგრამ სოფლელებში კი ბევრია იმისთანა, რომ პირ-ჯვარსაც კი რიგიანად ვერ გამოისახავს, არამც თუ ესმოდეს ამისი მნიშვნელობა, და, თუ რად ჰქვიან მას „მართლ-მადიდებელი ქრისტიანე“, ამაზე ხომ სრულებით ვერას მოგიგებს... ამისთვის ნასწავლი მღვდლები ძლიერ საჭირონი არიან სოფლებში. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამისთანეები არ გვყავან; ხოლო შინაურად გაზრდილ მღვდელთაგან ისიც კმარა, რომ, გარდა ქადაგებისა, ყველაფერს თავის მოვალეობას რიგიანად აღსრულებენ და თვისი პატიოსანი ყოფა-ქცევით აძლევენ თვისთა მრევლთა ჭეშმარიტ-ქრისტიანობრივი ცხოვრების მაგალითს.

*) ტაო და კლარჯეთი ეწოდება საქართველოს ნაწილს, რომელიც მდებარეობს მდინარე ჭოროხის ხეობაში, ესე იგი შვანის წყალზე და ისპირის წყალზე. ეხლა ტაოს შეადგენენ ტრაპეზუნტის, არზრუმის საფაშური და ოლთისის მხარე. თითქმის მთლად აქაური მცხოვრებლები გამაჰმადიანებულნი არიან. კვალი ქრისტიანობისა და ქართველობისა კი ძრიელად ეტყობა აქაურობას: ნანგრევები ძველთა ტაძართა, ქალაქთა, ციხეთა, ადგილთა სახელწოდებანი და სხ. გვიმტკიცებენ, რომ წინად აქ უცხოვრიათ და უმუშაკნიათ ქართველთა. ჯერ ეხლაც არზრუმის ნაწილებს ჰქვიანთ ქართული სახელები; მაგ. „ქართველთ ქუჩა,“ საქართველოს სასტუმრო, საქართველოს მეიდანი და სხ. და სხ.

**) ულუმბო ანუ ოლიმპი, სადაც ქართველებს ჰქონდათ თვისი მონასტერი. აქ მოვიდა იოანე და, სხვათა შორის, მას ჩაბარდა მწყსვა მონასტრის კარაულთა.

და მიზეზია, რომ არ გვყვანან ნასწავლი მოძღვრები? ისა, ჩვენო კეთილო ერის კაცო, რომ სამღვდელოებას არა აქვს დანიშნული იმისთანა საშუალება, სახსარი ცხოვრებისა, რომ მღვდელს შეეძლოს გაუჭირვებლად შენახვა თვისი ცოლ-შვილისა, სასწავლებლებში აღზრდა შვილებისა, ღარიბთ და გაჭირვებულთ დახმარება და თვით სუფთად გამოსვლა საზოგადოებაში.

ება დაენიშნოს მღვდელს თუ მაზრის უფროსის ჯამაგირი არა, მისი თანაშემწისა მაინც; აბა დაწესდეს მღვდელი მრევლში ისე, რომ მას, თვინიერ თვისის მწყემსობის მოვალეობისა მრევლისადმი, სხვა საქმე არა ჰქონდეს რა მასთან, არას გამოელოდეს მათგან რომელიმე მღვდელ-მოქმედების შესრულებისათვის; მაშინ ნათლად დავინახავთ, რომ ბევრი კარგი ნასწავლი წავა მღვდლად; რომ იგინი ნამდვილ დაიმსახურებენ მწყემსობის და მამობის სახელს და მრევლიც სულით და გულით შეიყვარებს მათ,—და მაშინ, ჩვენო ჭეშმარიტო ქრისტიანო ერის კაცო, აღვესრულდება საზოგადო ჩვენი „ნატვრა"!

ახლა კი ბევრი სას. სემინარ. ნასწავლი სტუდენტი, რომელთა კარგად და დაწვრილებით ესმისთ მღვდელობის მოვალეობა და ჰხედამენ ეხლანდელი მღვდლის დაგლახავებულს და გაჭირვებულს მდგომარეობას, ამბობს: „თუმცა სურვილი მაქვს მღვდელობისა, მაგრამ ვერ გავბედავ წავიდე მღვდლად; მათხოვრად არ გავიხდი თავს; სვინიდისს ვერ დავესჯევინები და მრევლის საწყევლ-სალანძღავად არ გავხდები და სხვა-და-სხვა". აი, რა არის მიზეზი, რომ ნასწავლი მოძღვრები ჯერეთ არა გვყავს!

მართალია, ეხლა ოთხი, თუ ხუთი მოიპოვება სოფლად ნასწავლი მღვდელი, მაგრამ ესენიც შეგებრალებათ მაშინ, როდესაც რომელიმე საღმრთო მოქმედების შესრულებისათვის, მისი მრევლთაგანი აძლევს მას შრომის „ფასს", — სვინიდისი ჰქენჯნის და ეუბნება მღვდელს: „ნუ გამოართმევ, ნუ რას აიღებ მრევლისგან, თვითონაც გაჭირვებულნი არიანო, რიგი არ არის, ცოდვააო და სხვ." მაგრამ გლახაკი მღვდელი იღებს—იცის, რომ, თუ ესე არ მოიქცა, შიმშილით ამოუწყდება ოჯახობა. ამისთანა გაჭირვებულ მდგმოიარების და გარემოების გამო ცხადად ჰხედავს ეს ნასწავლი მღვდელი, რომ, თუ თვითონაც არ იმუშავა და არ მოიპოვა საშუალება ცხოვრებისა, გაუჭირდება ცოლ-შვილის შენახვ— აღზრდა და საქველ-მოქმედო საქმეთა შესრულება. ამიტომ ამათაც არა აქვსთ დრო საქადაგებლად მომზადებისა და ხალისიც დაკარგული აქვსთ — იციან, რომ თაფლიც რო აჭამონ მათ თვისთა მრევლთა, მაინც მრევლი არ უყურებს მათ მრთელის გულით, რადგან მათ იციან, რომ მღვდელი შეჰყურებს მათ და მათგან მოელის იგი ცხოვრების საშუალებას; და ეს ხომ ასეა: თუ მოვალემ დაგინახა, რაც გინდა საყვარელი და კეთილის მყოფელი იყვე მისი, მაშინვე გულით შეწუხდება, გზას აგიხვევს, თუ მოსახერხებელია, და იტყვის: „ნეტავი არ შემხვედროდაო".

ეს ჩვენ ქუთაისშიაც არიან ზოგიერთთა ნასწავლი მღვდლები, რომელნიც, გარდა კათედრის სობოროს კრებულისა, რომელთა სრული ჯამაგირი ეძლევათ, უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან, ვიდრე სოფლის მღვდლები. მათ არა აქვსთ ადგილ-მამული, არ ეძლევათ დრამა, არა აქვსთ სრული ჯამაგირი და ირჩენენ თავს მხოლოდ მრევლის კეთილ-ნებობითი საჩუქრით, მაგრამ — ვაჲ, ამისთანა საჩუქარს: ყველგან კოტრობა და სხვა-და-სხვა უბედურება ამ ჩვენის გალატაკებულის ვაჭრებისა; და თვით მღვდლებიც სირცხვილით იწვიან, რომ იღებენ მათგან მცირე რაჲმე საჩუქარს...

დაგვერწმუნეთ, ჩვენო პატიოსანო ერის კაცო, რომ ამ ნასწავლ მღვდლებს მასწავლებლობის თანამდებობისგან რო შემწეობა არა ეძლეოდესთ რა, თქვენი მტერი, რომ იგინი იქმნებოდნენ—შიმშილით ამოწყდებოდნენ. ამას, იმედია, დაგვიჯერებთ, თორემ ფაქტებითაც დაგანახვებდით. მაგრამ ყველა ამა გაჭირვებას იგინი არ უშინდებიან და შეძლებისა და დროს შოვნისა და გვარად არ აკლებენ თვისთა მრევლთა სიტყვით ქადაგებათა და წმ. სახარებ-სამოციქულოს ახსნა-განმარტებასა.

მხოლოდ კათედრის სობოროს მღვდლები არ ამბობენ ქადაგებას მისთვის, რომ მათ ყველამ კარგად იციან ისტორიიდგან, რომ, როდესაც კონსტანტინეპოლის არხიეპისკოპოსი Iოანნე Oქროპირი, ჰქადაგებდა და მოძღვრებდა თვისსა სამწყსოსა კათედრის სობოროში, მის მღვდლების ქადაგ-მოძღვრებას ადგილი აღარ ჰქონდა. მგრეთვე აქაც ისეა, თორემ ამ სობოროს მღვდლებს კარგად შეუძლიანთ აღასრულონ ქადაგებითის სიტყვის თქმანიცა...

ამა ყველა ჩვენს ნათქვამზედ, იმედია, დაგვეთანხმებით, ჩვენო წარმატების მსურველო ერის კაცო, აღარ განვკიცხავთ თქვენს, უთქვენოთაც ბედისაგან გაწვალებულთა მმ. მღვდელთა და მოძღვართა და შევვისრულებ შემდეგ თხოვნას: ა) ეხლანდელი სამღვდელოების მდგომარეობა მატერიალურის მხრით სანატრელია, თუ არა? ბ) ქუთაისში რამდენია სობორო? და გ) რომელია ის ეკკლესია, რომელიც

ყოველ კვირა-დღესასწაულებზე სავსეა მლოცველებით და ხალხი გულს მოდგინედ ისმენს თავის მწყემსის სიტყვას და ან ვინ არის ეგრეთი მოძღვარი?

დეკანოზი რაჟდენ ბიგაუროვი.

არხეოლოგიური ცნობები ფინიკელებზედ.

I

ფინიკელებისაგან დაშთენილნი კვალნი ჩვენს საქართველო და სამესხეთოს მხარეებზედ კარგ დაკვირვებულ გამოკვლევას მოითხოვენ მეცნიერებისაგან; აქ მე გაკვრით თითო ოროლა ფაკტებს მოვიყვან ჩვენი ისტორიის მოყვარულთ საგულისხმოდ, რომელიც ეჭვონებ დიდ სინათლეს და ღირსებას მისცემს ჩვენ ქართველთ ტომ-მოდგმობას იმ ევროპიის დიდ განათლებულ პირთა თვალში, რომელთაც ყოველ ქვეყნის ტომნი, ვითამ ბევრად თუ ცოტად, გაცნობილი ჰყავსთ თავიანთ ხელთქონებული მეცნიერულის გამოკვლევითა და ჩვენი ტომობა კი დღემდის არც თვალში მოსვლიათ და არც ჯეროვანი ყურადღება მიუქცევიათ გამოსაკვლევად: თუ ვინ ვყოფილვართ? საღაურნი? რა გვიქმნია და ან რა ვართ?.

ხულ ადრე, უწინ, ძველის-ძველად: 2000 წლის წინად ქრისტესა ზღვა ხმელეთურს ვაჭრობით ეგრედ დიდათ დაწინაურებული იყვნენ ფინიკელები მთელ აზია-აფრიკა-ევროპაში, როგორც დღეს ინგლისები მრთელს ქვეყანაზედა. ამასთანა მათი დახელოვნება ვაჭრობაში წარმოდგებოდა თავიანთ ქვეყნის სივიწროისაგან, „გაპირვება მიჩვენე გაქცევას გიჩვენებოო“: ეს ანდაზა სწორედ მათზედა და მისთანებზედ თქმულა. დღეს ჩვენს სომხებში არსებული ვაჭრობის გაზვიადების საქმეც უეჭველად გაპირვებისაგან წარმოებულია, როგორც ურიებისაცა: საკუთარი სამშობლო მამული, მიწა-წყალი ხელთ აღარ დარჩენიათ, სარჩო სამყოფის საიმედოდ და ვაჭრობაში თვალღობაც, რომ არა ჰქონდესთ, ცაში ხომ ვერ აფრინდებიან?

ფინიკელები თვითან თავს ქამის მოდგმად სთვლიდნენ, მით დიდ ნაწილს მათ გეოგრაფიულ ქვეყნების ქალაქ დაბების წოდებულ სახელთ ბოლოში „ამ“ და „ქამი“ აქვსთ მობმულ-მოკიდული. ჩვენს ქვეყანაში მრავალგან მოიპოვება ამ გვარი გეოგრაფიული სახელები, როგორც ბათუმი. (წარმომდგარია ებრაელთ ფიდონ (ბიტუმ) ნაგები ქალაქისგან ეგვიპტედ), ლეჩხუმი იმერეთს, თორთომი სპერისკენ, ლიგამი კლარჯეთს და ჩვენს ხეობაში, ოკამი ბასიანს და ჩვენს ჯავახეთში როგორც ქარეტკამი და ბულკამი; ქართლში: სურამი, ბეკამი და დიღვამი. ამათ გარდა ფოთი, როგორც იმათ ვაჭრობის „თოთ“ (ღმერთის წოდება, რომელიც უდრიდა ბერძნების ჰერმეს); დვირი ჩვენს ხეობაზედ, სადაც მათი ხის ხელოსნები იყვნენ ჩამდგარნი.

ჩსენი ვაჭრულის მიმართულებით იყვნენ ჩვენს ქვეყნის სხვა-და-სხვა ნაყოფიერ მხარის სოფელ-დაბებში ჩამდგარნი, მაგრამ ზოგჯერ ფულით დაჭერილი მებრძოლი მხედრობაც გაჰყავდათ ჩვენის ტომითგან, როგორც სწერს: „სპარსნი და ლვიდნი (ლაზების მხარის-ტომნი) და ლიბიელნი იყვნეს მალად შენდა კაცნი მბრძოლნი შენნი, რომელთა ფარები და ჩაფხუტები დაჰკიდეს შენ შორის“ (ეზეკიელ 97, 10). ბაჰყავდათ ტყვენიცა, რჩეულნი ქალ-ვაჟნი, არა ყმობისათვის და მონებისა, არამედ თავიანთ ტომ-მოდგმის განსამშვენიერებლად მათგან შობილთ შთამოსულთ გამრავლებითა. რასაც ყიდვით, ფასით ვერ შეიძენდნენ, მპარაობას ხელს ჰყოფდნენ. ამ გვარ მპარავთ ეწოდა ტრალი, ვით ქურთებთგან წარმოსდგა მპარავის წოდება ქურდი, ეგრედ ტრიელთაგან ხელოვან მპარავთ სახელი დაშთა ტრალი. ამას ამტკიცებს მათი ყოფა-ქცევა არა მარტო ჩვენში, არამედ სხვა ტომებშიცა. *) ტრალითგან წარმოსდგა მტერი და მტრობა წოდება მებრძოლ მოწინაღმდეგეთა.

ჩს ტრიელნი გარდა ტყვეთა ჰკრეფდნენ ჩვენის ქვეყნითგან მრავალ-გვარს ჭინახულ მოსავალსა, თორთომისკენ ოქრო ვერცხლს, კალას, ტყვიას და იუმმს (მწვანე თვალია აყიყივით), იქაურ ხილეულ ჭინახულსაცა მასთან. საიმერეთოდგან ნაირ-ნაირ მადნეულთა: თაფლსა, თაფლის სანთელსა, ტყვესა და მისთანათ. მით ეწოდა მათ ნასყიდ ვაჭ-ქალთა მოახლე, მონად ყოფილთ „ტროკა“. ხოლო ყოველგან, რომ სიმრავლით მიდი-მოდიოდნენ სავაჭროდ, მცხოვრებთ სიძლიერის შიშისაგან; ამად მათ აყრა დაყრას ეწოდა ტრვა; როგორც ტირელთ მოძრაობა, როცა ამათ მკვდარი გაუჩნდებოდათ, იწყობდნენ საშინელ უნუგეშობით ძალიან მაღალის ხმით და ცემა ტყვეას თავ-ტანთ გლეჯით გლოვა-გოდებასა; ამას ეწოდა ჩვენგან ტირილი, მტირალობა, და ატი-

*) უმრო იოდისენ 15—402 და ჰეროდოტიც დასაწყისში იხსენიებს.

რება და სხვ., სამტროდ მოსევას საცემად თუ დასაკოდავად ტურტური; მოქადულს ტრამაზი.

Ჩროელნი ყოფა-ქცევით გარყვნილნი იყვნენ, მით მათ მოსიყვარულობას ეწოდა ტრფიალება და ზომა გარდამეტებულ არშიყობას ტრიობა: მათ მეტის მეტ ჩიჩინ-ლიჭინს ეჭრობაში, ტირტირი; მათ ენა მეტობას ლაპარაკში, ტარტარი; როგორც დღესაც ვეტყვით მეტად კადნიერ პირს ავ-ენიანობაში ენა ტარტარას: აქ საკვირველი ეს არის, რომ მრთელი მათი ენის კვალი ორ სამ საგნის ლექსითგან დაშთენილა ქამ, სურ და ტრისაგან. Ფოთს და მისთანა მარჯვე სავაჭრო ქალაქ-დაბებში შემოჰქონდათ თავიანთ ხელთ-ნაწარმოებნი ხასი თუ ხამი, ტკბილი თუ მწარე, ავი თუ კარგი, რაც მოეძიოდათ: როგორც, თვალ-მარგალიტეულობა, მამა დედათ სამკაულობა, სპილენძეულთ ჭურჭლეულობა, საჭურველნი საომარად და ყოველ გვარი ხელსაწყობნი საგლეხო სამოქალაქო ცხოვრებაში საჭირონი. როგორც სწერს: „საშვებელსა სამოთხისა ᲘᲕᲗᲘᲡᲐᲡᲐ ᲝᲛᲨᲘ, ყოველი ქვაი კეთილი შეგემოსა: სარდიონი (სეილანი) და პაზიონი და სამარაგდოი (ზურმეხტ) და ანთრაკტი (ჯავაირ) და საპფიროონი (ლალი) და იასპი (იეშმა) და ლიგვირიონი (იაგუნდი) და აქატი (კატის თვლის ფერი) და ამეთვისტონი და ოქრო-ქვაი (ყვითელი იაგუნდი) და ვირვილიონი (ბროლი) და ფრცხილი (სულეიმანი) და ოქროთა აღავსენ საუნჯენი შენნი! *) მართლა, სადაც ფინიკელთ მიცვალებულთ ნაშთი ჩნდება, სრულ ჭურებში არიან დამარხულნი ორ ნაირად: ერთ-გვართა მიცვალებულთ მძორი დაუწვიათ და მისი ნაცრით ჭური აუვსიათ და ჭურის პირზედ აწყვია მათი სამკაული და საჭურველი. მეორე გვართ სხეულნი დაულპობიათ გარე და მათი ძვლები ჭურებში ჩაუძსთ: პირველის ნაირი ახალ-ქალაქის მახლობელ სოფელში კორხს ეწახე, ისეთი დიდროანი მწვანე მძივები იყვნენ ყელსაბამი მთავრისა, რომ კაკლის ოდენი და სატევარი ბრონზისა, მეორე გვარისა იქავ მდებარე ს. ᲥᲐᲠᲢᲙᲐᲛᲘᲡ მახლობლად აღმოჩნდა.

Თედათ სამკაულებში შესანიშნი არიან, სამკლავე სამაჯურები თუ ძეწკვები სალტეები მკლავსა, ბეჭდები, საყურეები: ზოგიერთი ისე დიდროანია, რომ 3, 4 თითი შევა ბეჭედში. ᲣᲔᲚ-ᲡᲐᲑᲐᲛᲘ მძივისა, მანიაკი, მორთული ოქრო თვლებითა, ქამრები და მისთანანი. ᲛᲐᲛᲐᲗ სამკაულებში შესანიშნია საცერულები მოკლაკნილი გველივით, რომელიც გადიდდება და დაპატარავდება კიდევაც, რადგან ორივ წვერები დაუკავშირებელია, ამათი მრავალი უფრო თითბერ ბრონზოსაგან არიან.

Ბური ლექსი: აღებულია სურის ლექსისაგან, ჭურისაგან ჭურჭელი და საჭურველი (იარაღი). Ჭურჭლეულს თიხისგან აკეთებდნენ: სურამს, მაშინდელი წოდებაა სურა, ჭური, ქვევრი, დორა, ქიშა, ქოთანი, ქვაბ-ქოთანა, კოჭობ, ქილა, ჭინჭილა, ფილა, ჯამი და მისთანანი. ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ სამჭედლო: ცული, ნაჯახი, წალდი, თოხი, ეჩო, ხვეწი, საჭრეთელი, სატეხი, საწვავი, ტარი, გაზი, ბურღი, ხერხი, სამსჭვალი და სხ. საჭურველში: ᲡᲐᲢᲔᲕᲐᲠᲘ, ლახვარი, შუბი, მახვილი თუ ხმალი, ისარი რამდენმე ᲜᲐᲘᲠᲘ: როგორც კოდალი, ბოძალი, სეფქა, გეზი და სხ. ამათგან უმრავლესნი, როგორც ვნახეთ კარტკამს, წყალ-თბილას, კორხს და ხიზას აღმოჩენილნი ბრონზისაგან არიან. ᲐᲡᲠᲔᲕᲔ სპილენძეული ქვაბი, სიავი, კარდალა, იბრიხი (წურწუმა), ქასა, თასები, ლანკრები, საჭინები და მისებრნი. ᲡᲐᲙᲠᲐᲕᲗᲐ ᲭᲘᲛᲣᲜᲡ: სტვირი, თუ გუდა სტვირი: საზსა თარი: ჭიანური, ქნარიც მათგან დაშთენილია, ნესტვი, სალამური, ებანი, ეჟვანი და მისთანები. მინის წოდება თვირათენი, რომელიც შემოჰქონდათ ჩვენში: ეს წოდება შეესაკუთრა ჯერ ახალ ჩასულ დაშთენილ მზის სხივების ელვარე ჩენარა და შემდგომ სარკესა თინათინი, ბრწყინვალე ნივთთა ელვარებას ჭვირი თუ მჭირვალება. ხილთ ხმელეულობას ჩირი, რომელსაც თვითანვე ამზადებდნენ ზამთრის სარჩოდ და მისებრნი.

ᲕᲘᲜᲛᲔ ᲛᲔᲡᲮᲘ.

ᲡᲐᲔᲠᲝ ᲬᲝᲚᲓᲔᲑᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲗᲐ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲐᲖᲠᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲦᲕᲓᲔᲚᲝᲔᲑᲐᲖᲔ.

ᲗᲘᲓᲘ ხანია, რაც რუსეთის სამღვდელო და საეკკლესიო საქმეებზე ყურადღება მიაქცია საერო ჟურნალ-გაზეთებმა. ᲐᲛ ბოლოს დროს რუსული გაზეთები არა თუ მარტო რუსეთის სამღვდელო და საეკკლესიო საქმეზე აღძრავენ ხოლმე სხვა-და-სხვა მსჯელობას, არამედ საქართველოს სამღვდელოებაზედაც სწერენ და ბაასობენ. ᲫᲚᲘᲔᲠ სასიამოვნო არის ამისთანა ყურადღება საერო ჟურნალ-გაზეთებისა, მაგრამ ეს დალოცვილები ხან-დის-ხან ისეთ რამეს სწერენ, რომელიც არა ჯერ არს. ᲔᲠᲗᲛᲐ სოფლის მღვდელმა სთქვა ამას წინეთ: „გაზეთ-ჟურნალების მწერლები მებადეებს ემსგავსებიანო. ᲛᲔᲑᲐᲓᲔᲔᲑᲘ კაცი ხშირად ესვრის ბადეს თევზის დასაჭერად,

*) ეზეკიელის 28—13,

მაგრამ თევზის მაგიერ ჯოხების, ფოთლების, დამპალი ქვიბის და სხვა უწმინდურების მეტს ვერას გამოიტანენ ბადითო“. Ისე ეს ჩვენი მწერლები არიან. ხან-დის-ხან თავის კალამის ნაწარმოებს პირ-და-პირ დახვედრილ და საჭირო ცხოვრების კითხვებს სერიან და ნიშანშიც კარგად ამოჰყავთ, მაგრამ ხან-დის-ხან მათი ნაწერები არა თუ არ ხსნიან სხვა-და-სხვა ცხოვრების კითხვებს, არამედ ნამეტნავად აძნელებენ მათ და ნაცვლად სარგებლობისა და მეგობრობისა „დათვურ მეგობრობას“ უწევენ სამღვდელოებას და ეკკლესიას. Აი ფაქტები. Ერთ რუსულ გაზეთში „Современныхъ извѣстіяхъ“, არის დაბეჭდილი Თფილისიდამ გაგზავნილი სტატია, რომლის ავტორი ჩვენი სამღვდელოების და ეკკლესიის შესახებ სწერს შემდეგს:

Ქალაქის სამღვდელოება ძალიან ხშირად ასრულებს მღვდელ-მოქმედებას რუსულს ენაზე, განსაკუთრებით სობოროებში, რისგამო მრევლს ხშირად არ ესმის მღვდელ-მოქმედების აზრი. გარდა ამისა, სოფლებში თუმც წირვა-ლოცვა ყოველთვის ქართულს ენაზე სრულდება, მაგრამ დიდის გაჭირვებით: მღვდლები უმეტესად ძლივს ამოთვლით კითხულობენ, ასე რომ ეკკლესიებში ყოველთვის ისმის უაზრო კითხვა, რომელიც ამახინჯებს სიტყვებსაც და საეკკლესიო წიგნების აზრსაც, რისგამო სოფლის ეკკლესიები მთელი თვეობით დაკეტილნი არიან და ხან-დის-ხან თუ გაიღებიან, მაშინაც მთლად ცარიელნი არიან. არც ერთ სემინარიის კურსის საგანს არ ასწავლიან ქართულს ენაზე; ქართული ენისთვის არ არის საკუთარი კათედრა. ქართული ენის ლიტერატურის სწავლება, როგორც სასულიეროსი, აგრეთვე სახოვრციელოსი, რომელიც შემოღებულ იქმნა უ. მიროპოლსკის, უწმიდესი სინოდის სამასწავლებლო კომიტეტის წევრისაგან, სრულდება რუსულ ენაზე. ამას გარდა, რჩება რამოდენიმე გაკვეთილები სალმრთო წიგნების კითხვისთვის და მათ გადასათარგმნელად ქართული ენიდამ რუსულ ენაზე; ხანდის-ხან წარმოითქმებიან ქადაგებანი ქართულს ენაზე სემინარიის უმფროსი კლასის შეგირდებისაგან. ეს უკანასკნელი დიდი ხანია შემოღებულია, მაგრამ განსაკუთრებითი სარგებლობა და ნაყოფი არ მოაქვს.

Ამ ავტორის აზრს არ ეთანხმება მეორე რუსული გაზეთი „Церковно Общественный Вѣстникъ“-ი. Ამ ხსენებული გაზეთის რედაქცია თავისი მხრით ამბობს: ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ Თფილისელ კორესპონდენტს მასში, რომ ქართველი ხალხი აღარ დაიარებოდეს ეკკლესიებში და ეკკლესიებიც ცარიელნი რჩებოდნენ მისგან ნაჩვენებ მიზეზთა-გამო. Ამ შემთხვევაში ჩვენ უფრო უნდა დავერწმუნოთ Თფილისის რუსული გაზეთის „Новое Обозрѣніе“-ეს მწერალს, ბ. სოსლანს რომელიც ალბად უმეტესად დაახლოვებულია საქართველოს სამღვდელოების და ეკკლესიების საქმეებთან. რედაქცია უჩვენებს „Новое Обозрѣніе“-ეს 163 №-ს, რომელშიაც ბ. სოსლანი სწერს შემდეგს:

Საქართველოს ხალხი გარეგანი შეხედულობით ძალიან გულგრილობას იჩენს სარწმუნოებაში. ქართველი-მთიულები, რომელნიც სამოცი და სამოცდა ათ წლამდე ცხოვრებენ, თავის სიცოცხლეში სულ არ შეუხედავსთ ეკკლესიაში, არ იციან პირზე ჯვარის გამოსახვა, ეზიარებიან თავის სიცოცხლეში ერთხელ და ისიც მაშინ, როცა სიკვდილის მოახლოებას ჰგრძნობენ. მათში მღვდელი არ ითვლება სულიერ მამად, ამიტომ რომ სულიერ მოთხოვნილებას მათში არავინ არა გრძნობს. დიდი ეკკლესიის დღესასწაულებზე ტყუილ-უბრალოდ გაისმის არე-მარეში ზარების რეკა, რომელიც იწვევს მორწმუნეთა სალოცავად ტაძრებში; ხალხი კი ამ დროს იკრიბება დუქნის მახლობლად და ლაპარაკობს თავიანთ საქმეებზე. ქართველები მიდლემჩი არ ყოფილან მორწმუნე ხალხი, სწორა რომ სთქვას კაცმა. ისინი ძალიან ცოტას ფიქრობდენ ზეციურ არსებაებზე და სარწმუნოებრივ ფანატიზმობას სულ მოკლებულნი იყვნენ. ქრისტიანობა იყო მათთვის დროშა, რომლის გარშემო იკრიბებოდნენ. ქრისტიანობა და სამშობლო ქართველი კაცის აზრით სინონიმი იყო; ასე რომ, ქართველი კაცი ქრისტიანობასთან ქართველობასაც ჰკარგავდა.

„Церк. Общ. Вѣст.“-ის რედაქციას ქართველთა ხალხის სარწმუნოებრივი გულ გრილობის მიზეზად მოჰყავს მხოლოდ ბ. სოსლანის მოსაზრებანი; ესე იგი, რომ ქართველები დასაბამიდგან მცირე და გულ-გრილი მორწმუნენი იყვნენ და არა მათი ენის შევიწროება და სასწავლებლებში ქართულად საგნების შეუსწავლელობა.

Ამ პატივცემულ რედაქციას არ შეუძლია არ დაერწმუნოს ბ. სოსლანს, რომელიც, რედაქციის აზრით, საქართველოს ხალხზე ძლიერ დაახლოვებულია, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ბ. სოსლანის მოსაზრება და მის მიერ შეთხზული ფაქტები ქართველთა ხალხის სარწმუნოებრივ გულგრილობის შესახებ სრულებით მართალნი არ არიან. Ამას ამტკიცებენ მრავალნი ქართველთა მოწამენი, რომელთა თავი იწვალეს Ქრისტეს სარწმუნოებისათვის. Ქართველთა ხალხის მხურვალე სარწმუნოებას მოწმობენ საქართველოს მთა-გორებში მრავალი მონასტრების და ეკკლესიების შენობანი; Ამასავე მოწმობენ მრავალნი შეწირულებანი ეკკლესიების და მონასტრების სასარგებლოდ და ბოლოს მთელი წარსული ისტორია, რომელიც წარმოადგენს საშინელ თავ განწირულს ქართველთა ხალხის ბრძოლის სურათებს სარწმუნოების დაცვისათვის ურწმუნო ხალხთა წინააღმდეგ... ვინ არ იცის, რომ ქართველ ხალხს ქრისტიანობრივი სარწმუნოება არ გაუცვლია არც ერთ ქვეყნიერ ბედნიერებაზე და თავის სიცოცხლეც ხშირად შეუწირავს მისთვის?.. Ამის შემდეგ Ციბრმავე არ არის, კაცი

ამტკიცებდეს, რომ ქართველი ხალხი ქრისტეს სარწმუნოებაზე მტკიცედ არ მდგარიყოს და არც იდგეს? ამას იტყვის, ჩვენის აზრით, იმისთანა პირი, რომელსაც ჩვენი ხალხის წარსული ისტორიული ცხოვრება სრულებით არ გაეგება...

სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.

უწმიდესი სინოდის განკარგულებით თანახმად საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორის მოხსენებისა ცაიშის და თეკლათის მონასტრები გაუქმდნენ. თეკლათში დაწესდა დედათ მონასტერი.

* * *

ამ წლის თერმეტ ნოემბერს უწმიდესის სინოდის თავსმჯდომარეს მიტროპოლიტს ისიდორეს შეუსრულდება ორმოცდა ათი წელი ეპისკოპოსობის ხარისხზედ მსახურებისა. მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა მიტროპოლიტი ისიდორე ჩვენ საქართველოში ბრძანდებოდა ექსარხოსად კარგი ხანი. ქართლის და კახეთის ეპარხიის სამღვდელოება ამ დღისათვის ამზადებს ადრესს და წმ. ნინას ხატის მირთმევას უპირებს. იმერეთის და მინგრელიის ეპარხიის სამღვდელოებას შეუკვეთია პეტერბურღში მოწამეთა დავით და კონსტანტინეს ხატის გაკეთება და ადრესთან აპირებენ მირთმევას. ადრესის მირთმევას აპირობს, როგორც ამბობენ, გურიის ეპარხიის სამღვდელოებაც.

* * *

ჩვენ ხშირად მოგვდის საჩივარი მრევლის მღვდელთაგან, რომ სოფლის მოხელეებისაგან მოზოჭილი დრამის ფული ველარ ამოვიგეთო. იმედია ამას ყურადღებას მიაქცევენ ვისიც რიგია.

* * *

სოფელ ზევნიდამ (ქუთ. მაზრა) ჩვენ გვატყობინებენ, რომ იქ გამრავლებულა მინდვრის თაგვები და პურები სრულებით გადუჭამია. პურებს ვილა ჩივის, გვწერს კორესპონდენტი, პირები ახვეული გვაქვს ღამე, რომ შიგ არ ჩაგვიძვრენ. სახლშიც ისე გამრავლებულა ეს ცხოველები, რომ ველარაფერი გადურჩენიათ მათგან.

* * *

ს. ბზვანის ეკლესიის მღვდელზე მ. საბაშვილზე არა ერთჯერ მოგვსვლია საჩივარი, რომელშიაც ძლიერ ემდურიან მას. მრევლნი ამ ბოლოს დროს იქამდინ მისულან, რომ უჩივლიათ სხვა-და-სხვა მის უწესო მოქმედებაზე ყოვლად სამღვდელოსთან. იმედია სინიდისიანი და მიუდგომელი გამოძიება აღმოაჩენს ჭეშმარიტებას.

* * *

ოცდა ექვს ივლისს მოწამეთის მონასტერთან, წყალ-წითელაში ერთი უბედურება მომხდარა. მოწამეთის მონასტერში სალოცავად მისულა თავის ოჯახობით ბ. ჯორჯაძე. შემდეგ მონასტერში ლოცვისა სახლობა პურის საჭმელად მდინარე წყალ-წითელას ნაპირზე ჩასულა. სანამ პურს სჭამდენ, ორი ქალიშვილი ამ ჯორჯაძისა, მეშვიდე კლასის მოწაფენი, მისულან ტანის საბანაოდ ერთ პატარა მორევთან. უმცროსი და ჩავარდნილა წყალში, მას მიშველებია უმფროსი და, მაგრამ შველის მაგიერ ისიც ჩავარდნილა წყალში. ამათ მიშველებია მესამე ქალი ნაკაშიძისა, მაგრამ ისიც კინაღამ არ დამხვრჩალა, რომ მოსამსახურე გოგოს არ ეშველა მისთვის. საწყალ დებს დიდხანს უწვალებიათ წყალში, მაგრამ მშველელი არავინ გაჩენიათ და ორივენი დამხვრჩვალან. მიცვალებულები მოწამეთის მონასტირს გალავანში დაუმარხავთ.

* * *

ფრანციაში გაჩენილმა ხოლერამ ძლიერ დააფთხო ყველა ევროპიის სახელმწიფონი, მაგრამ, მადლობა ღმერთსა, ხოლერამ ამ ბოლო დროს თან-და-თან იკლო. როგორც ტელეგრამები გვატყობინებენ, ამ ბოლოს ძლიერ ცოტანი კვდებიან ხოლერითა.

* * *

სასწავლებლის ზედამხედვლის თანამდებობიდამ დათხოვნილ იაკობ შხაკაძეს, როგორც ამბობენ, ჯერეთ კიდევ არ ჩაუბარებია ახალი სასწავლებლის ზედამხედველის ბ. ტატიევისათვის სასულიერო სასწავლებლის ანგარიში და სამართველოს საქმეები. ძლიერ კარგი იქნება, რომ ამ ჩაბარებაზე დაესწრებოდეს ის კამისია, რომელიც სამღვდელოებამ დანიშნა სასწავლებლის ხარჯის შესამოწმებლად...

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე.

ფარისევლური მიმართულება ახლანდელი დროის ხალხისა. *)

Ჭკვიანელნით ცოდისაგან ფარისეველთასა (მათეს ივ—ვ).

Ფარისევლური ზნეობრივი ცოდი, რომელიც არსებობს ხოლმე ესრეთ წოდებულ ფარისევლურ მიმართულებაში, შეხედულებაში და ცხოვრების კანონებში, ყოველთვის ღრმად შთაინერგებოდა მრთელ ხალხის ცხოვრებაში და მრავალნაირათ დაამაკავებდა, ააფუნებდა მათ ცხოვრებას. ღრმად და ვრცლად დამკავებულია მისგან ჩვენი ხალხის აწმყო თანამედროვე ცხოვრება და იფარება იგი იმისთანა კაცობრიულ მოქმედებებში და ხალხის ცხოვრებაში, რომელშიაც პირველ შეხედვაზე სრულებითაც ვერ წარმოიდგენ მის არსებობას.

Ფარისევლური მიმართულება ქრისტეს დროის ფარისეველთა იყო შესანიშნავი მით, რომ იგინი „შეჰკრავდენ ტვირთსა მძიმესა და ძნიად სატვირთავსა და დასდვებდნენ მხართა ზედა კაცთასა; ხოლო მათ თვითონ თითითაცა მათითა არა უნდოდათ შეძრვა მისი“. (მათეს კგ—დ). ისინი თხოულობდნენ ხალხისაგან სასტიკად აღსრულებას ყველა მცნების კანონთა, მრავალთა, მცირეთა, ძნელად აღსასრულებელთა და სასტიკად სდევნიდენ მათ დამრღვევთა, მაგრამ თვითონ არ აღესუბუქებდენ ხალხსა ამ სიმძიმის ზიდვასა არც კეთილის სანუგეშებელი სიტყვითა და ჩაგონებითა, არც თვისი სამაგალითო ცხოვრებითა. ეს ცოდა იყო; ისინი იცავდნენ რა გარეგნად სიმართლესა, არღვევდენ სალმრთო მცნებათა სჯულსა, სამართალსა, მოწყალებასა და სარწმუნოებასა (მუხ. კგ) და ამისთანა მაგალითითა ჭრუკვნიდენ ხალხსა და ასწავებდნენ მათ ფარისევლურად მცირე მცნების აღსრულებასა და უდიდესთა მცნებათა დარღვევასა.

ჩრ ვნიშნავთ, ძმანო და დანო, ეხლანდელ ხალხის ცხოვრებაში ამისთანა ფარისევლურ მოქცევას? არ ვნიშნავთ ეხლაც ზოგიერთებში, რომ ისინი სხვას დაადებენ მძიმესა ტვირთსა და ძნიად საზიდავს, მაგრამ თავის თავს განითავისუფლებენ და თითითაცა არ მიეხებიან მათ? სამწუხაროდ, ამისთანა ფარისევლური სულის მიმართულება ინიშნება ყველგან, ყოველ ნაირ საზოგადოებაში და ყოველი კაცის მოქმედებაში...

ჩი მწყემსნი ეკლესიისანი მოითხოვენ თავიანთ სამწყსოსაგან ფიცხელსა კეთილ მსახურებრივსა ცხოვრებასა. მოითხოვენ პატივის-ცემასა, მათი სიტყვის გაგონებასა, მათი ცხოვრების გაუმჯობესებასა სამწყსოთაგან. მაგრამ ხშირად თვითონ იგინი არც სიტყვიერად და არც თავისი ცხოვრების მაგალითით არ აუხსნიან ქრისტეს სჯულსა, არ გაუძღვებიან წინ სამწყსოთა ქრისტიანულ ცხოვრებაში, სტოვებენ ხალხთა სიბნელეში და არ ამცნებენ მათ ქრისტეს სარწმუნოების ჭეშმარიტებათა, არ ანუგეშებენ, არ განამხნევებენ მათ გაჭირვების და უბედურების დროს, არ დაიკავებენ მათ ჯეროვანის ძალითა ბიწიერებათა და შეცდომილებათაგან. თვისთა ცხოვართა რძისაგან იზრდებიან იგინი, ხოლო ცხოვართა არ აძოვებენ ერთგულად. არ დაადებენ ამ შემთხვევაში იგინი თავის სამწყსოთა მძიმე ტვირთსა და ძნიად საზიდავსა და თვითონ თითითაცა არ შეეხებიან მათ? არ გახდიან ამით ისინი ქრისტეს ულელსა, კეთილსა და ტვირთსა მისსა მსუბუქსა (მათეს. ია—ლ) ძნიად საზიდავად სამწყსოთა-თვის, რადგან ისინი არ ასწავებენ მათ, თუ როგორ ადვილად უნდა ზიდონ ეს ტვირთი?..

ჰაგრამ თავის მხრით არ ექცევიან ფარისევლურად სამწყსონიც თავიანთ მწყემსთა, მოძღვართაცა? ისინი თხოულობენ, რომ მათ მწყემსთა აძოვონ ქრისტეს სამწყსონი ფრთხილად, დაუღალავად და განუშორებლად იყონ მათთან, რომ იგინი სიტყვით და ცხოვრებით იყვნენ უზაკველნი და ჭკვის მასწავლებელნი. სიტყვით და მაგალითით ასწავებდნენ ქრისტეს გზას და— ამავე დროს არ ისმენენ ჭეშმარიტი მოძღვრის სიტყვას, არ უნდათ შეიტყონ ცხოვრების გზანი, რომელთაც უჩვენებენ მათ მოძღვარნი მათნი, რჩებიან ნიადაგ უგნურებაში და ბიწიერებაში, რომელსაცა ამხილებენ მათ მოძღვარნი მათნი. სამწყსონი თხოულობენ მოძღვართაგან, რომ ისინი მთლად გადამდგარნი იყვნენ სამოძღვროდ და სამწყსოდ ცხოვართა; თვითონ იგინი კი იძულებულ ჰყოფენ მოძღვართა, რომ მოიშოვონ თავისი საზრდო მიწის მუშაობითა და ცხოვარნი დასტოვონ დროებითად. განა სამწყსონიცა არ დასდებენ ტვირთსა მძიმესა მოძღვართა ზედა

*) მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ექსარხოსის პავლეს სიტყვისაგან.

თვისთა და თვითონ კი თითითაცა არ უნდათ შეძვრა მისი?

Გადვიხედოთ სხვა რიგ ცხოვრებაში. ავიღოთ —ოჯახობა და სკოლა: ოჯახობაზე არის დადებული პირველი და საღმრთო ვალდებულება კეთილად შვილების აღზრდისა. მშობლები პირველი აღმზრდელები არიან თავიანთ შვილებისა. ოჯახურ ბავშვების აღზრდას ვერ შეედრება ვერც ერთი სხვა გვარი აღზრდა. იმას შემოაქვს ბავშვების აღზრდაში ის მხურვალე სიყვარული, გულიანობა, რომელიც ბავშვებს შეაყვარებს კანონებს და რწმენას, რასაც მათ შთააგონებენ და ამით მთელს თავის ცხოვრებაში დაემორჩილებიან იგინი კეთილ გულის შთაგონებას და ხელმძღვანელობას. მერე რა? როგორ ხშირად არ უგდებენ ყურს ამისთანა საღმრთო სასიამოვნო და კეთილ მოვალეობის აღსრულებას ოჯახობანი! —ისინი სრულებით არ ცდილობენ ამ საქმეზე; ზოგიერთნი უსწავლელნი ამას მიაჩემებენ სკოლებს. მერმე ნეტავი ამას ჩადიოდენ მშობელნი, რომელნიც ნიადაგ შრომობენ თავის და თავის ოჯახობის საზრდო ლუკმა-პურის საშოვნელად... არა; ასე იქცევიან ხშირად მშობელნი საკმაოდ განათლებულნი და შეძლებულნი. ბავშების აღზრდაზე შრომობას ისინი არჩევენ ცუდათ დროების გატარებას, ქეიფობას, ხშირად უბრალოთა, მაგრამ ხშირად მავნებელთა და ცუდთა დროების გატარებათა...

Ამის ნაცვლად სკოლებიც ცდილობენ, რომ თავისი მხრით ბავშვების აღზრდის ტვირთი, მათზე მდებარე, ბევრად დაადვან ოჯახობაზე, თვითონ კი გულგრილად უყურებენ ბავშების აღზრდის საქმეს. ჩვენ აქ არ ვამბობთ იმისთანა აღმზრდელებზე, ოჯახობაზე და სკოლაზე, რომელნიც თავისი ცუდი გავლენით ჰრყვნიან ბავშვებს და ერთი ერთმანეთს ადებენ ამ მოვალეობას... რას ნიშნავს ეს? არ იქცევიან იგინი ფარისევლურად, როდესაც სკოლა და ოჯახობა დასდებენ ერთი ერთმანეთზე ტვირთს ძნიად საზიდავსა და სრულებით არ ცდილობენ, რომ შეუმსუბუქონ ეს ტვირთი ერთი ერთმანეთს?.. აი ავიღოთ საზოგადოება და მთავრობა. საზოგადოება ვალდებულია იზრუნოს საზოგადო სიკეთეზე: უნდა დაიკავოს და აღამაღლოს საზოგადოების წევრებთა შორის სიყვარული მეფისა და მამულისადმი, უნდა გაავრცელოს ყველა საზოგადოების წევრთა შორის პატიოსნების კანონები და რწმენა, შთანერგოს მათში ზიზღი მტაცებლობისა, ძალადობისა და ყოველთა ზაკვათადმი; უნდა დაბადონ პატიოსნური შრომობისადმი სიყვარული და პატიოსანი შრომით შეძენა. უნდა შეისწავლონ ადგილის საჭიროება და სარგებლობანი და მოსძებნონ საშუალებანი მათ დასაკმაყოფილებლად. საზოგადოებამ უნდა აღზარდოს თვის შორის ღირსეულნი პირნი საუფროსოდ, შეიმუშაონ ნიადაგი და მასალა, რომლის საშუალებით მთავრობის პირმა შეიძლოს საზოგადოების საკეთილოდ შრომობა; საზოგადოდ ყველანი ხელს უნდა უწყობდენ მთავრობის წარმომადგენელთა პირთა სახელმწიფო წესიერების დამყარებაში და საზოგადოების კეთილ დღეობის დაარსებაში. თავისი მხრით მართებლობამ რაც კი შეტყობილია კეთილი საზოგადოებისაგან ცხოვრებით და გამოცდილებით, უნდა შემოიღოს ხალხის ცხოვრებაში ყველა ის, რაც სასარგებლოა ხალხისათვის; უნდა განდევნოს ხალხის ცხოვრებიდამ ყველა ცუდი და არა სასარგებლო და უჩვენოს საზოგადოებას ის გზანი, რომლითაც მას მიეცემოდეს კეთილ დღეობა და წარმატება. გარნა არა დასდებენ ხშირად საზოგადოება და ზოგიერთი მთავრობის წარმომადგენელნი ერთი ერთმანეთზე ტვირთსა მძიმესა და ძნიად საზიდავსა, როდესაც ერთი ერთმანეთს არ აღუსუბუქებენ ამ ტვირთსა?... არ აძნელებენ საზოგადოების წარმომადგენელნი პირნი თავისი უმოქმედობით და გულ-გრილობით, როდესაც ხალხი დიდ განსაცდელშია, და ისინი არხეინად უყურებენ მათ გაჭირვებას და დარდი არა აქვსთ? არ აძნელებენ საქმეს, როდესაც მჩატე ჭკუის მოსაზრებით განსჯიან მართებლობის მოქმედებას, როდესაც უბრალო მსჯელობით სხვა-და-სხვა მართველობის პლანებს, აღუსრულებელს დ ამოუხერხებელს, მოიგონებენ მაშინ, როდესაც საზოგადოების სიკეთისათვის მხოლოდ საჭიროა უბრალო საქმე, პატიოსნურად და სინიდისიერად თავისი მოვალეობის აღსრულება? თავისი მხრით არ აძნელებენ ხან-დის-ხან თვითონ მთავრობის წარმომადგენელნი საზოგადოების, ხალხის საქმეს, როდესაც მათ ხალხის ცხოვრება არ მიჰყავსთ ისე, როგორათაც უჩვენებს მათ თვითონ ხალხის ცხოვრება, ანუ როგორც უჩვენებენ მათ გამოცდილნი და კეთილ საიმედო საზოგადოების წარმომადგენელნი? არა სდებენ ხანდისხან მართებლობის წარმომადგენელნი პირნი მძიმე ცხოვრების ტვირთსა, რომელიც

არ ეთანხმება ხალხის მოთხოვნილებას და მის ისტორიულ მიმართულებას.

—ჩი უმფროსები და მათი მორჩილნი. ხშირად უმფროსები სდებენ თავის თანამდებობის სიმძიმეს მხართა ზედა თავის მორჩილთა და თითონ თითითაც არ შეეხებიან თავის საქმესა!.. ხშირად მორჩილნიცა და ხელ ქვეშე პირნი იძულებულ ჰყოფენ თავის მეუფროსეთა, რომ მათ აღასრულონ თავისი და მათ მორჩილთა მოვალეობაცა. განა ეს არარის ფარისევლური დადება ტვირთისა სხვათა ზედა?..

ჩი ასე გაემსჭვალება ფარისევლური სული ყოველი კაცის ცხოვრებაში და გაამეფებს მას. აი ასე დაბადებს იგი საზოგადო უმოქმედობას, თავის მოვალეობის აღსრულებაზე და პატიოსან შრომაზე გულ აცრუებას და საზოგადო გარყვნილებას და განხრწნილებას... როგორ უნდა ვებრძოდეთ ამ ბოროტებას? თითეულმა უნდა იცნას თავისი მოვალეობა, განსაზღვროს თავისი შრომა და დროც, მიცემული ამაზე, აკეთოს თავისი საქმე და არ ფიქრობდეს, რომ სხვას დაადვას თავისი ტვირთი. როდესაც ყველანი ასე ერთგულად იწყებენ თავის საქმის კეთებას, მაშინ ცხოვრება ხალხისა გაკეთილდება და აღყვავდება..

ჩდება თავის მხრებიდამ ტვირთისა და სხვათა მხართა ზედა დადება კაცს შეაჩვევს უნებლიედ ტყუილ სიტყვაობას, — უსინიდო თავის გამართლებას უსინიდისო თვის საქციელში. ცრუ სიტყვის ხმარებას, ცოტ-ცოტად დაეჩვევა კაცი არა თუ მარტო გასამართლებლად თავის სიზარმაცისა და უსაქმობისა, არამედ თავის საძაგელ წინამღდეგ და უპატიოსნო საქციელისა. მათ ამისთანა სიტყვით ფარისევლობას მალე მოჰყვება საქმით ფარისევლობა ყველა მათ ყოფაქცევაში: ფარისევლური პირ საფარით ის დაიწყებს თავისი უზნეო სულის სისაძაგლის დაფარვას ხალხთაგან. წარმოთქვამს მშვენიერთა, პატიოსანთა მაღალთა სიტყვათა, კეთილსა და პატიოსნურ აზრსა საჩვენებლად იქცევა პატიოსნად და კეთილად: ყველა ამაებს ის ჩადის თავის ცუდი და საძაგელის მიზნის დასაფარავად, გასაბმელად მახეში მოკლე აზრის და არა შორს გამჭვრეტ პირთა და მათ დასაღუპავად... ამ სახით ქრისტეს დროის ფარისეველთა, მიაღწიეს გასაოცარ და საშიშარ პირფერობამდინ და ამით მოინადირეს დასაღუპავად მრავალნი დამჯერე ხალხნი. „ყოველსა საქმესა იქმოდიან საჩვენებლად ხალხთა, განადიდებდენ საუნჯეთა და განავრცებდენ სამოსელთა თვისთა... საჩვენებლად ლოცვილობდნენ დიდ ხანს. სწირავდნენ ათეულსა პიტნისა, ცერეცოსა და ძირაკისაგან, განწმენდდენ ჭურჭელთა თვისთა (მათ. კგ—ე—კე). საზოგადოდ განსხვავდებოდნენ გარეგნად სიმართლითა... გარნა ნამდვილად იგინი იყვნენ გარყვნილნი. ისინი ემსგასებოდნენ ბრწყინვალეთა საფლავთა, რომელნიც გარეგანად სჩანან ბრწყინვალეთ, ხოლო შინაგან სავსენი არიან ძვლებითა მკვდართათა და ყოვლითა არა წმიდებითა: გარეგნად ისინი ეჩვენებოდნენ ხალხთა მართლად, ხოლო შინაგანად იყვნენ სავსენი ფარისევლობითა და უსჯულოებითა. შესახედავად დიდ ხანს ლოცვილობდნენ, მაგრამ ცარცვავდნენ სახლთა მქვრივთასა... აძლევდნენ რა ათეულსა პიტნაკისა, ცერეცოისა და ძირაკისაგან, იგინი სტოვებდნენ სჯულსა შინა უდიდესა, — სამართალსა, მოწყალებასა და სარწმუნოებასა... ისინი განსწმედდენ ჭურჭელსა, მაგრამ შინაგანად იყვნენ სავსენი უსამართლოებითა და ნატაცებითა (მათ. კგ—ე—კჱ).

ჩმისთანანი იყვნენ ქრისტეს დროის ფარისეველნი, რომელნიც გარეგანი სიფაქიზითა და სიმართლითა ჰფარავდნენ თავის ღრმა გარყვნილებას, სავსეს უსამართლოებითა და მტაცებლობითა.

სამწუხაროდ, ძმანო და დანო, არ ვხედავთ ჩვენ ეხლანდელი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში და საქციელში ამისთანა ფარისევლურ მიმართულებას?

ჰო, როგორ ხშირად ვხედავთ ჩვენ ეხლაც მრავალთა, რომელნიცა წარმოსთქვამენ მშვენიერთა, პატიოსანთა სიტყვათა ან მისთვის, რომ მით დაფარონ საძაგელნი საქმენი, რომელნიც ჩაუდენიათ, ანუ მისთვის, რომ კარგი სიტყვით მოიპოვონ რწმუნება მჩატე ჭკუის პირთა და წაართვან მათ მათი ქონება, პატიოსნება, ბედნიერება და საუკუნო ცხოვრება!..

(დასასრული შემდეგ №-ში).

შეწირულებანი.

ტფილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ შაგირდთა სასარგებლოდ კიდევ შემოვიდა ბლალოჩინის მღვდლის იოსებ ჭეიშვილისაგან მისი საბლალოჩინო მაზრის მღვდელთაგან შეკრებილი თოთხმეტი მანეთი ჲ თერთმეტი შაური და მოწამეთის მონასტრის წინამძღვრის მამა არხიმანდრიტის ბესარიონისაგან მისი საგანგებო მონასტრის ძმათაგან შეკრებილი ოცდა ოთხი მანეთი ჲ ოთხი აბაზი.

და სრულიად 39 მ. 35 კ.

განცხადებანი.

მიიღება ხელის მოწერა ქართულს სასულიერო გაზეთს „მწყემსზედ“

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახოსიელო მმართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა, რომელთა გამოცხადება შესაძლო იქნება; 2) გაავრცელოს ქართველთა სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილი ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

გაზეთი გამოვა ორ ბეჭდის ქაღალდის ფურცელზე.

გაზეთის დაბარება შეიძლება მხოლოდ მარტის თვიდამ; ფასი მარტიდამ გაგზავნით და გაუგზავნელად—**ოთხი მანეთი** და **ათი შაური**, ნახევარი წლისა—**სამი მანეთი**.

გაზეთის დაბარება, წერილობით და პირის-პირ მოლაპარაკება შეუძლია ყველას რედაქტორთან რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლებში. გაზეთის დაბარება და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:

ქართული სასულიერო გაზეთის „**მწყემსის**“ რედაქციაში დაბა შორაპანს (ყვირილაში). **Въ мѣстечко Шорапанъ (Квирилы) въ редакцію газеты „МЦКЕМСИ“.**

მიიღება ამ 1884 წ. ხელის-მოწერა. ხელის-მომწერელს ყველა გამოსული №№-ბი ვაეგზავნება.

საყოველთაო ყრმათა საკითხავი სურათებიანი ჟურნალი

„ნობათი“

პედაგოგიური ნაწილის დამატებით.

მთელი წლის გამოცემა ჟურნალი „ნობათი“-სა შეიცავს თორმეტ წიგნსა.

ყრმათა საკითხავ წიგნში იბეჭდება: ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, სურათები ხალხის ცხოვრებიდამ; ბიოგრაფიული მოთხრობები, მოგზაურობა, ეპიზოდიური მოთხრობები ისტორიიდამ, ამბები გეოგრაფიიდამ და ბუნების მეცნიერებიდამ; იგავები, ანდაზები, გამოცანები, შაირები, არითმეტიკული გამოცანები; სათამაშოები, რებუსები, სიმღერები ნოტებით და სხვ.

დამატებაში—მშობელთა და აღმზრდელთათვის—იბეჭდება: პედაგოგიური სტატიები მშობელთა და აღმზრდელთათვის შესახებ ყმაწვილების აღზრდისა და სწავლისა (პირველ-დაწყებითი), კრიტიკული და ბიბლიოგრაფიული სტატიები, პედაგოგიური თხზულებებისა, პედაგოგიური ქრონიკა ჩვენი და უცხოეთის ცხოვრებიდამ, ნარევი, „ნობათი“-ს ფოსტა, განცხადებანი.

ჟურნალი „ნობათი“ ქალაქს გარეშე გაგზავნით და ქალაქში დარიგებით წელიწადში ღირს **ოთხი მანეთი**, ცალკე ნომერი **ათი შაური**. მარტო ნახევარ წლის ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხელის-მოწერა მიიღება: თბილისში—ჟურნალი „**ნობათი**“-ს რედაქციაში, ალექსანდროვის ბაღთან, ხაზინის გვერდით, თუმანიშვილის სახლ. № 7 და შაევრდოვის წიგნის საწყობში. **ქუთაისში**—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. **გორში**—ეკ. ფურცელაძისას. **თელავში**—ი. ვ. როსტომაშვილთან.

ფოსტის ადრესი: *Тифлисъ, въ редакцію грузинскаго педагогическаго журнала „Нобати“.*

რედაქტორი-გამომცემელი ა. ს. ღოღაძე.

Дозв. цензурою Кутаисъ, 31 Іюля 1884 г. რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ. მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა და ფერაძისა.